

## ფლეს ნომერშია

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 94 700 ლარით გაიზარდა 2 გვ.

„ხელისუფლებას ხმა ვერ მივაწვდინეთ, რაღბან გამგეობას შეიარაღებული ღაცვა იცავდა“ 3 გვ.

ხარაგაულში გოლერკი ჩოსხელის სსოფნის მიმდებარე საფარში გაიზარდა 4 გვ.

ინტელექტუალურ თამაშში თაობებს შორის ახალგაზრდობა გაიზარდა 4 გვ.

მილოცვები 4 გვ.

აბინდი 4 გვ.

## ძვირფასო ქაღალდები!

გილოცავთ გაზაფხულის მშენებელ გიორგი ლაშაშვილს. გაზაფხულით ლამაზი, ფერადი და სიცოცხლით სავსე ყოფილიყოს თქვენი ცხოვრება. იყავით დღევანდელი, ჯანმრთელი, ლამაზი და რაც მთავარია, ბედნიერი იყავით.



## პაცხადები პაკანას

ვაცხადებთ სტაჟიორის ვაკანსიას შერჩევის თანამდებობაზე. შესაბამისი ანაზღაურებით სამუშაოდ ვიწვევთ სპეციალობით შერჩეულ კანდიდატებს. სასურველია კანდიდატს ჰქონდეს მუშაობის გამოცდილება. მსურველებმა მოგვმართეთ რედაქციაში 18 მარტის ჩათვლით. **ბავშვთა „ჩემი ხარაგაულის“ რედაქცია**

## ბორითის კლინიკა ღავით სერბეინკო

### პირველ მარტს ბახსნა



პირველ მარტს საქართველოს ჯანდაცვის მინისტრმა **ღავით სერბეინკო** ბორითში გადაუდებელი დახმარების კლინიკა გაიხსნა. მისი თქმით, „ბორითის კლინიკა განსაკუთრებული ფორმატისა და მოდელის სამედიცინო დაწესებულებაა და მისი ანალოგი საქართველოში, ჯერჯერობით, მხოლოდ ურეკშია. ეს არის ხარჯიანი და უწყვეტი, მაღალი ხარისხის მოდელი, რომელიც შედარებით ახალი დანერგულია. ასეთი კლინიკების დანერგვა დაიწყო ამერიკიდან და იმდენად ეფექტურია, რომ ახლა ევროპის ქვეყნებშიც ძალიან სწრაფ განვითარებას ჰპოვებს.“

ბორითის კლინიკის ფუნქციაა ჯანმრთელობის გადაუდებელი მდგომარეობების მართვა. ამ დაწესებულებას შეუძლია მიიღოს ნებისმიერი მიზეზით გამოწვეული ნებისმიერი ხარისხის გადაუდებელი მდგომარეობა და ეფექტურად მართოს როგორც ადგილზე, ასევე უზრუნველყოს პაციენტთა გადაყვანა. ბორითის კლინიკა ასევე მოემსახურება ნებისმიერ გეგმიურ პაციენტს. ბორითის სასწრაფო გადაუდებელი დახმარების კლინიკის ხელმძღვანელს, **მირა ჯონარაძის**, ინფორმაციით, ეს კლინიკა პირველ მარტს ამოქმედებული ჯანდაცვის საყოველთაო პროგრამაში ორი კომპონენტით - ამბულატორიული მომსახურება და სასწრაფო გადაუდებელი დახმარება - ჩაერთდება. „კლინიკის გახსნის დღესეუ ორი პაციენტი უკვე მივიღეთ ამბულატორიული მომსახურების პროგრამით. კლინიკას, საერთო ჯამში, დაახლოებით, 40-მდე თანამშრომელი მოემსახურება. გადაუდებელი დახმარებისთვის გვაქვს

## მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო ბარათების დარიგება

საგზაო-სასაფრავო პროგრამის ფარგლებში სასოფლო-სამეურნეო ბარათების დარიგება ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 5 მარტიდან დაიწყო. სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის მოადგილის, **დათო ცაგურიშვილის** ინფორმაციით, პირველ ეტაპზე მხოლოდ კომბინირებული ბარათები დარიგდება, მეორე ეტაპზე კი - ნომინალური ბარათები. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჯამში **დახმარება 640 000-ზე მეტ მიწის მესაკუთრეს**, ვისაც აქვს 0-დან 5 ჰექტარამდე **სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი**. მცირემიწიანი ფერმერები სასოფლო-სამეურნეო ბარათის ფორმით მიიღებენ მათ სარგებლობაში არსებული მიწის ფართობის კატეგორიის შესაბამის სარგებელს. **0.25 ჰექტარამდე მიწის** მესაკუთრეები, რომელთა კუთვნილ ნაკვეთებშიც ტექნიკის, შესვლა დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული, მიიღებენ **100 ლარის ღირებულების მსოფლიო ნომინალურ სასოფლო-სამეურნეო ბარათს**, რომლითაც შეეძლება მხოლოდ შესაბამისი ღირებულების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საქონლის და ინვენტარის შეძენა; **0.25 - 3 ჰექტარამდე მიწის** მესაკუთრეები (ეს არის ბუნებრივია თა ძირითადი ჯგუფი), რომელთაც გააჩნიათ სახნავი ფართობი, მიიღებენ **კომბინირებულ სასოფლო-სამეურნეო ბარათს 510 ლარის ღირებულებით 1 ჰექტარამდე მიწის მესაკუთრეებისთვის**. 1 ჰექტარამდე მიწის მესაკუთრეები სასოფლო-სამეურნეო ბარათით შედგება 2 კომპონენტისგან: ნიადა-

გის ხენა, ხნულის და დისკვა/ვაგონები, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საქონელი და ინვენტარი - 300 ლარის ღირებულებით.

ის ფერმერები, რომელთაც აქვთ ანალოგიური ზომის მრავალწლიანი ნარგავობა, მიიღებენ სასოფლო-სამეურნეო ბარათს 510 ლარის ღირებულებით 1 ჰექტარზე გადაანგარიშებით, რომლითაც შეეძლება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საქონლისა და ინვენტარის შეძენა მომწოდებლისგან;

**0.25-3 ჰექტარამდე მიწის** მესაკუთრეების, ან მხოლოდ მრავალწლიანი ნარგავობის მქონე ფერმერები მიიღებენ 640 ლარის ღირებულების **მსოფლიო ნომინალურ სასოფლო-სამეურნეო ბარათს**, რომლითაც შეეძლება მხოლოდ შესაბამისი ღირებულების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საქონლისა და ინვენტარის შეძენა მომწოდებლისგან.

როგორც **დათო ცაგურიშვილმა** 5 მარტს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულთან შეხვედრაზე აღნიშნა, სასოფლო-სამეურნეო ბარათის ვადა აქვს 1 აგვისტომდე და არავითარ შემთხვევაში არ მოხდება მისი ფულად განაღდება. მისივე ინფორმაციით, სოფლის მეურნეობის სამინისტრო ეცდება, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საქონლის და ინვენტარის შესაბამის სერტიფიცირებული მალაზია იყოს ყველა მუნიციპალიტეტში.

## გამგებლის ბრძანებით დაინიშნენ

2013 წლის პირველ მარტს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე დაინიშნა **პაატა გომილაძე**. მანამდე ეს თანამდებობა ეკონა ვლადიმერ მაღლიკელის, რომელიც სამსახურიდან პირადი განცხადების საფუძველზე წაიდა. გამგებლის თანამშრომელ **ღავით დე-**

## ბორითის კლინიკა პირველი პაციენტები უკვე მიიღო

ერთდროულად მოემსახურეთ. ბორითის კლინიკის გახსნას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი ნოდარ ტანაიძე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის

გამგებელი კობა ლურსმანაშვილი, ხარაგაულის ექიმები, კლინიკის მშენებელი ორგანიზაცია „ატუს“ დირექტორი კარლო ლეკვიშვილი, ბორითის მოსახლეობა. **ლაშრა გომილაძე**

## „არ მივლივართი სახლში, ვითხოვთ ხელფასებს და მუშაობის პირობებს!“

შპს „ადითი“ ხარაგაულის 40 თანამშრომელი 4 მარტს კიდევ ერთხელ ხელფასების მიღების მოთხოვნით გაიფიცა. მათ სამი თვეა, ხელფასი არ აუღიათ. იანვარში აიღეს ნოემბრის ხელფასი და მას შემდეგ ელოდებიან, დეკემბრის, იანვრის და თებერვლის ხელფასებს. სააგადმყოფოს თანამშრომლები აღარ იღებენ პაციენტებს და განუყოფილებენ არ შედიან.

„ჩვენი მოთხოვნაა, რომ მოგვცენ კუთვნილი ხელფასები. ერთხელ და სამუდამოდ გაირკვეს, ვინ არის დამნაშავე ჩვენი ხელფასების დაგვიანებით გადმორიცხვაში: შპს „ადითი“, სახელმწიფო თუ სადაზღვევო კომპანია „ირაო“. რომელი მათგანი არ ასრულებს ვალდებულებას,“ - იკითხა მორიგე საპროტესტო აქციაზე შპს „ადითი“ ხარაგაულის ლაბორატორიის ექიმმა **მალაზია გომილაძემ**.



**ღარიანი**, ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ „ჩხერიმლა 2009“-ის დირექტორად **ნუზარ კინკაძე**, ადმინისტრაციული სამსახურის მთავარ სპეციალისტად **საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მარინა ვუზნაძე**, კულტურის სამსახურის წამე-

ვან სპეციალისტად სპორტის საკითხებში **თიმიშვილ კალანდიაძე**, ბავშვთა ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულად **მარლამ ჭიკაშვილი**, ფარცხნალის ტერიტორიული ორგანოს სპეციალისტად **პაატა გომილაძე** დაინიშნა.





# „არ მივლივართ სხლში, ვითხოვთ ხელფასებს და მუშაობის პირობებს!“

პირველი გვერდიდან

„ერთი ხელფასი მაინც აგველო ისე, რომ ამბავი არ აგვეტეხა და არ გავფიცულყავით, - შემოსავლის 30%, რომელიც ექსპედიტორების ხელფასებში ნაწილდება, ექვს ექვსზე იყოფა და გამოდის, რომ ხუთ პროცენტს ვიღებთ.“ - ამბობს მთავარი ექსპედიტორი **მანა ლუსსაგანაშვილი**. „იმდენ თანხას მაინც ვიღებდეთ, რომ ნერვიულობად ღირდეს.“ - მხარი აუბა ექსპედიტორმა **ნანი არამაძე**.

„ასეთ ცოტა პროცენტზე აღარ დავთანხმდებით. უნდა შევცვალოთ მდგომარეობა აუცილებლად. სირცხვილი არ არის - ცხრა, ოცდაათი და სამოცი ლარი ხელფასი გვაქვს და ესეც სახვეწარია. რაც შპს „ადიტი“ ხარაგაულის საავადმყოფო შეისყიდა, ერთ-ხელ არ ჩამოსულა წარმომადგენელი და არ უკითხავს, ჩვენ რა გვიჭირს. გაიკვებენ „ადიტი“ სათაო ოფისში ჩვენს გაფიცვას და შემოთვლიან, - თუ იფიცებთან და გარეთ არიან, წაივინდნენ სახლში. არსად არ მივდივართ! გაგვისწორონ სახელფასო დაავალიანება, მოგცენ ნორმალური ანაზღაურება და შეგვიქმნან მუშაობის პირობები.“ - ამბობს **მარტო ბარბაქაძე**.

„გაუსაძლის პირობებში ვართ. ერთი საწოლი მაინც შემოეტანა „ადიტი“. საერთოდ არ იზრუნა პირობების გაუმჯობესებაზე. ჩემი ხელფასი სტაციონარში მორიგეობით განისაზღვრება. თვეში ავიღებ 24 ლარს. ასე ღირსებაყრილი ექიმები სად იქნებიან კიდევ, არ ვიცი.“ - გულისტკივილს გამოხატავს ექიმი **თინათინ მჭედლიძე**.

„ექსპედიტორების თანხას საერთოდ არ ვიღებთ. ანაზღაურება გვეძლევა იმ შემთხვევაში, თუ პაციენტი გვეყოლება.“ - ამბობს **ბულნაზი ბაჩინიძე**. „ღამის გამოძახებებზე მორიგეობით მოვდივართ ლაბორანტებში. ძალიან მცირე ანაზღაურებას გვაძლევენ. ამწუთას სისხლის ღებინებით შემოიფანანს ბავშვი. როგორ არ მივხელო? აი, ამით სარგებლობს ზურგს ვერ შევაქცევთ.“ - აღნიშნავს ლაბორანტი **ელვა მადლაძე**.

„ჩვენ იანვრიდან აღარ უნდა გავკვრივდებოდნენ კონტრაქტის შპს „ადიტი-თან“. ბოლოსდაბოლოს რა გახდა, ვითხოვთ ჩვენს კუთვნილ ანაზღაურებას.“ - ამბობს ექიმი **ზაურ ჭუმბურიძე**.

„4 ათასი ლარია თვეში ჩვენთვის გადმოსარიცხი თანხა. ზოგ სამსახურში ამ ოდენობის თანხას ერთი თანამდებობის პირი იღებს. აღმძინები ვართ ჩვენც.“ - ამბობს ბუღალტერი **ელვა სნილაძე**.

„რა ვუყო ამ მდგომარეობას არ ვიცი. დიდიდან ვრეკავ სათაო ოფისში, სადაზღვევო კომპანიაში და ვერ

გაავარკვია, პასუხი ვერსაიდან მივიღებ, - რა მიზეზით არ გვერიცხება ხელფასები. ნუთუ 60 ლარი აღარ უნდა მისცე თვეობით ადამიანს. საჩივარ-განცხადება შემოიტანეთო, გვითხრეს მედიაციის სამსახურში. როგორ მოეთხოვო თანამშრომელს, რომ იმუშაოს, როცა არ მიუღია სამი თვის ხელფასი? ახლა დაინერგა ახალი სადაზღვევო სისტემა და რომ შემოვიდეს ავადმყოფი, რა გქნათ. რასაც ვაკეთებთ, იმის შესაბამისი ხელფასი ხომ უნდა მივიღოთ. ამ გაუსაძლის პირობებსაც ეგუებიან თანამშრომლები, მაგრამ რომ დამთავრდება თვე, ან ახალი თვე დაიწყება, ანაზღაურება ხომ უნდა მიიღონ. პროტესტის ნიშნად ქუჩაში გავიდნენ და რომ გაცივდნენ, წამლის ფული არ აქვთ. პური რომ იყიდონ, იმის საშუალებაც არ აქვთ. სხვა რამეზე აღარ არის საუბარი. რა დააშავა სამედიცინო პერსონალმა ასეთი, რომ ამ მდგომარეობაშია? ყველა სფეროს მუშაკებს მიაქციეს ყურადღება, ჩვენს გარდა. საერთოდ აღარ მივიღებთ პაციენტებს, ამბობენ თანამშრომლები და მართლაც არიან, - აცხადებს შპს „ადიტი“ ხარაგაულის დირექტორი **ქეთევან აბრამიშვილი**.

## 6060 კაპანაძე

**P.S.** ხარაგაულის საავადმყოფოს წინაშე არსებულ პრობლემებზე ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს ხარაგაულის მასობრივი დეპუტატი ნოდარ ებანიძე, გამგებელი კობა ლურსმანაშვილი, საავადმყოფოს დირექტორი ქეთევან აბრამიშვილი და მოადგილე ანა ფურცელაძე ბოროტად სასწრაფო გადაუდებელი დახმარების კლინიკის განხილვისას ესაუბრნენ. როგორც მინისტრმა აღნიშნა, ის მინისტრობის პირველივე დღეებიდან ზედმეტი კარგად იცნობს შპს „ადიტი“ დაქვემდებარებული საავადმყოფოების მდგომარეობას. საბოლოოდ კომისიამ ერთ-ერთი პირველ საკითხად შპს „ადიტი“ სამედიცინო დაწესებულებების მდგომარეობა განიხილა.

დავით სერგეენკოს თქმით, რამდენიმე დღეში ხარაგაულის საავადმყოფოში სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფი ჩამოვა სიტუაციის ადგილზე შესასწავლად და კონკრეტული გადაწყვეტილების მისაღებად.

## ფოტოგა:

ხარაგაუელი ექიმები და ხელი-სუფლების წარმომადგენლები ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს ბოროტის კლინიკაში ხარაგაულის საავადმყოფოს პრობლემებზე ესაუბრნენ

4 მარტს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა.

დეპუტატებმა ცნობად მიიღეს ახალი ფრაქციის შექმნის, ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარეგისტრაციო) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარებული მუდმივმოქმედი კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაცია და შპს „ხარაგაული 2011“-ის მზადება საგაზაფხულო სამუშაოებისათვის.

საკრებულოს გადაწყვეტილებით, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 26 თებერვლის №5/4041 მომართვის საფუძველზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ საღანძილში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 2394 კვმ მიწის ნაკვეთი (ნაგავსაყრელი) სახელმწიფოს გადაეცა.

სხდომაზე დადებითად შეფასდა დ. ხარაგაულის ტერიტორიული ორგანოს რეორგანიზაციის, გოგი თხელიძის საქმიანობა. დ. ხარაგაულში დედარაინისა და ზაზა გულუნაძის ქუჩებზე წყალმომარაგებაში არსებული პრობლემის მოსაგვარებლად საკრებულომ შექმნა კომისია (თაურე თემურ გამცემიძე), რომელიც მოიკვლევს, შესაძლებელია თუ არა ეს ქუჩები წყლით მომარაგდეს ახალსოფლიდან.

საკრებულოს წევრებმა ა(ა)იპ „ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის“ დირექტორის, ლევან ფერაძის განცხადება დააკმაყოფილეს თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე და ამ თანამდებობაზე ალექსანდრე ბარბაქაძე დანიშნეს.

# ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ხარჯები 94 700 ლარით გაიზარდა

დეპუტატებმა განიხილეს და დაამტკიცეს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში ხარაგაულის მუნიციპალიტეტიდან წარსადგინი სახელმწიფო ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხა.

**ბიუჯეტმა შპს „ადიტი“** საკრებულოს წარუდგინა პროექტები გამგებობაში ახალი სამსახურების შექმნისა და გამგებლის მოადგილის შტატის დამატების თაობაზე. კერძოდ, ცალ-ცალკე სამსახურებად ჩამოყალიბდა სოციალური მომსახურების, ჯანდაცვის და შესყიდვების სამსახურები. გამგებლის განმარტებით, ჯანდაცვის და სოციალური სამსახურების გაყოფა დაკავშირებულია მუნიციპალიტეტში არსებულ მძიმე პრობლემებთან, რომლებიც ძალიან აქტუალურია საზოგადოებისთვის. „ბევრი საზრუნავია ჯანდაცვის მიმართულებით. ვიცით, რა მდგომარეობაშია ხარაგაულის საავადმყოფო ინფრასტრუქტურის მხრივ. უახლოეს ხანში შესაძლოა აღარ გვყავდეს დეპუტატონალი, რადგან 30 ლარზე არც ერთი პროფესიონალი ექიმი და დაბალი რანგის თანამშრომელი არ იმუშავებს. ამ კუთხით გარკვეული პოლიტიკა შესაძლებელია, რომელსაც ცხადია, ჯანდაცვის სამინისტრო არეგულირებს და განსაზღვრავს, მაგრამ გამგებობის ჯანდაცვის სამსახურმა უნდა წარმოაჩინოს პრიორიტეტები და მოგვეცეს დროში გათვლილი შესაბამისი ხედავს ამ პრობლემების მოგვარების.“ - აღნიშნავს კობა ლურსმანაშვილი და უმძიმეს სოციალურ მდგომარეობაზე საუბრობს. „ბევრს ჩვენს თანამემამულეს აქვს კვების და ფიზიკურად არსებობის პრობლემა. ჩემი კაბინეტის წინ სოციალურად დაუცველი ადამიანების რიგი დგას. მივიჩნევ, რომ სოციალური სამსახური უნდა ფუნქციონირებდეს ცალკე და მისი საქმიანობა არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ერთჯერადი დახმარებების გაცემით. პრობლემა ამით არ მოიხსნება. აქ კომპლექსურაა ბევრი რამ განსახილველი და ამ კუთხითაც უნდა გვექმნეს მიდგომები. სოციალური სამსახურის თანამშრომელმა უნდა იცოდეს, თითოეულ მცხოვრებელს რა უჭირს და როგორ დაეხმაროს.“

რაც შეეხება შესყიდვებს, გამგებელი მიიჩნევს, რომ ამ თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიებებია გასატარებელი: შესყიდვების შედეგად გარკვეული სამეურნეო საქონლის შექმნა, დასაწყობება, მიწოდება; ტენდერებთან დაკავშირებით შეუსრულებელი ვალდებულებების გამო გარკვეული ნაწილების გატარება და სხვ. „ამიტომ გავკვირდება დასაბუთებულობა

იმისა, რომ გვერდებს ჩამოყალიბებული სტრუქტურა, რომელიც წინასწარ განსაზღვრავს შესყიდვებში მონაწილე ინდემქარმეების თუ შპს-ების მდგომარეობას და პროცესი იქნება უფრო გამჭვირვალე. ამიტომ ამ ჯგუფს მონიტორინგი გაეწევა როგორც ჩვენი მხრიდან, ისე საზოგადოების და პრესის მხრიდან.

ეკონომიკისა და ფინანსების მიმართულებით გამგებლის მოადგილის მუშაობა მნიშვნელოვნად აისახება გამგებობის მუშაობაზე. რაც შეეხება ინფრასტრუქტურას, პრიორიტეტულიდან გამოიშინარე, გვიანდა ცალკე ხელმძღვანელი იყოს, რომელიც აიღებს პასუხისმგებლობას მუნიციპალიტეტიდან წარსადგინ პროექტებთან დაკავშირებით. ინფრასტრუქტურის სამინისტროში საკონკურსო პროექტები თავად უნდა წარუდგინოთ და დასაფინანსებელი თანხა უნდა მოიპოვოთ წარდგინი პროექტების აქტუალიზაციის, პრიორიტეტულობის, ბენეფიციართა მომსახურების რაოდენობის და სხვა კრიტერიუმებით. ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელიც გარე და შიდა რესურსებიდან დაფინანსდება, კარგად გაზრებული უნდა ჰქონდეს ამ მიმართულებით მომუშავე მოადგილეს.

საკრებულოს სხდომაზე გამგებობის სამსახურების გაყოფის საკითხი დეპუტატმა **რუსუდან გურბანიძე** გააპროტესტა. მან აქცენტი სოციალური და ჯანდაცვის სამსახურების გაყოფაზე გაამახვილა და აღნიშნა, რომ საკრებულოში სოციალური მომსახურებისა და ჯანდაცვის სამსახურის რაიმე მუნიციპალური პროგრამა არ წარუდგინა. ამავე დროს, დეპუტატის თქმით, ჯანდაცვის სამსახურის ფუნქციები სხვა

სამსახურების დეპუტატებშიც წერია. „როდესაც საბიუჯეტო წელი ახალი დაწყებულია, ასეთი დიდი ცვლილების შეტანა ხარჯვით ნაწილად არასწორია, ვინაიდან მთელი წლის განმავლობაში არ ვიცით რა დაუგეგმავია ხარჯის გაწევა მოგვიწევს. თუ იმასაც გაეთვალისწინებთ, რამდენი სოციალურად დაუცველი და სტიქიით დაზარალებული გვეყავს მუნიციპალიტეტში, გაუმართლებლად და დედასაბუთებლად მიმანია ბიუჯეტიდან 90 ათასი ლარის გამოყოფა და შტატების გაზრდა“ - აღნიშნა რუსუდან გურბანიძემ და დასძინა, რომ ამ საკითხის გამართლება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ამ სამსახურებში ვაკანსურია შტატების დასაკავებლად გამოცხადდება კონკურსი, ხოლო კონკურსანტები წარმოდგენენ ახლებურ ხედვას პრობლემათა იმ გრძელი ნუსხის გადასაწყვეტად, რაც ამ სამსახურების წინაშეა.

„ქალბატონი რუსუდანი ბრძანებს, რომ ის ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენელია და ხელავს პრობლემებს ამ მიმართულებით. მეც რომ დავინახე ეს პრობლემები, სწორედ ამან გამოიწვია სამსახურების გაყოფა. დიდი ბოდიში მინდა მოუხადო ქალბატონ რუსუდანს, რომ მანამდე ვერ მქონდა კონსულტაცია და არც ერთმა ინტერესჯგუფმა ჩემს წინაშე არ დააყენა მისი კანდიდატურის განხილვა ამ თანამდებობაზე. ეს რომ მოხდარიყო, შეიძლება არ ყოფილიყო ქალბატონი რუსუდანი ასეთი აგრესიული. დაგვიანებით მაინც შეეცდებით, გადახედოთ ამ საკითხს“ - აღნიშნა საკრებულოს სხდომაზე გამგებელმა **კობა ლურსმანაშვილმა**. რაიმე თანამდებობაზე დანიშნვის სურვილი დეპუტატმა **რუსუდან გურბანიძე** უარყო და გამგებელს თხოვა, ყველაზე ნაკლებად ამ თემაზე ფიქრით შეიწუხოს თავი.

საკრებულოს სხდომაზე იმსჯელეს იმაზე, თუ როგორ შეიძლება რეაგირება გამგებობის ჯანდაცვის სამსახური დეპუტატების განსაზღვრული კონკრეტული დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში და რა ბერკეტები ექნება მას.

„თუ საკითხი მოევა საკრებულოს სხდომამდე რაღაც კონკრეტული პრობლემის მოსაგვარებლად, საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საავადმყოფო იქნება შესასრულებლად ყველაასათვის, როგორც სამართლებრივი ფორმაც უნდა ჰქონდეს ორგანიზაციას“ - განმარტა საკრებულოს აპარატის უფროსმა **ლენა კალანდარიძე**.

**ბ** ამათაში ახალი სამსახურების შექმნისა და სხვა საშტატო ერთეულების მატებიდან გამომდინარე, მორიგი ცვლილება შეეცადა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის

## საკრებულოს სხდომაზე

2013 წლის ბიუჯეტში. კერძოდ:

13 თებერვლიდან ფუნქციონირება დაიწყო ხევის საზოგადოებრივი ცენტრმა, რომლის ნორმალური საქმიანობისათვის საჭიროა ოთხი საშტატო ერთეული: მათ შორის ორი სპეციალისტი, დამატებული და დარაჯი. საკრებულოში დამატა ორი ფრაქცია და მოწვევრიდა შტატგარეშე მუშაკთა შრომის ანაზღაურება. მარტიდან მუნიციპალიტეტის გამგებობის საშტატო ერთეულებს ემატება ოთხი საშტატო ერთეული. მათ შორის ერთი მოადგილე, ორი სამსახურის უფროსი და ერთი მთავარი სპეციალისტი. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა საკრებულოს ხარჯებში გაიზარდოს შრომის ანაზღაურების ხარჯი 14 ათასი ლარით და შტატგარეშე მუშაკების შრომის ანაზღაურება 15 ათასი ლარით. ასევე გამგებობის ხარჯებში გაიზარდოს შრომის ანაზღაურების ხარჯები 49 600 ლარით, შტატგარეშე მუშაკთა შრომის ანაზღაურება - 14 600 ლარით. ა(ა)იპ „ისტორიული მუზეუმის“ მოთხოვნის საფუძველზე სახანძრო კუთხის მოსაწყობად დამატებით გამოიყო სუბსიდი 400 ლარი. გაიზარდა რელიგიის ხარჯებში სუბსიდი 100 ლარით ფარცხნალის ეკლესიის საეკლესიო ინვენტარის შესაძენად. ზოგადი განათლების ხარჯებში გაიზარდა სუბსიდი 1000 ლარის ოდენობით სასულიერო გიმნაზიისათვის წყლის მრიცხველის შესაძენად. სულ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები ნაწილი გაიზარდა 94 700 ლარით. აღნიშნული ხარჯების დასაფარავლად გამოყენებულია 2013 წლის 1 იანვრისათვის არსებული სახსრების ნაშთი.

**ს**აკრებულოს წევრებმა ცვლილება დაამტკიცეს ა(ა)იპ „ახალი ხარაგაულის“ წესდებაში. საკრებულოს თავმჯდომარე **პაპი მაჭავარიანი** განცხადებით საკრებულოსგან დაფუძნებული გახვითი „ახალი ხარაგაული“ დაიბეჭდება 500 ეგზემპლარი და დარეგულირება უფასოდ. შეიცვალა ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელი და მისი ვასილ კავთაძის ნაცვლად ეკა შვიძი უხელმძღვანელებს. ა(ა)იპ „ახალი ხარაგაული“, ბიუჯეტიდან წელს 15 ათასი ლარით დაფინანსდება. დეპუტატებმა ამ ცვლილებას მხარი დაუჭირეს, თუმცა მათი უპრავილად გასული წლის ბოლოს გახვითის ნაცვლად საინფორმაციო ბიულეტენის გამოცემის ან ტენდერის გამოცხადების მომხრე იყო. ამ ცვლილებას მხარი დეპუტატმა **რუსუდან გურბანიძე** სწორედ ამ მოტივით არ დაუჭირა.

**ს**აკრებულოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში ხარაგაულის მუნიციპალიტეტიდან წარსადგინ პროექტების ნუსხა საკრებულოს წევრებს გამგებელმა **კობა ლურსმანაშვილმა** და გამგებობის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა **ვლადიმერ გულაშვილმა** წარუდგინეს. როგორც **კობა ლურსმანაშვილმა** აღნიშნა, 200 მილიონი ლარი უნდა დაიხარჯოს მუნიციპალიტეტში პროექტების დასაფინანსებლად. წარდგინილი პროექტი დაფინანსდება პრიორიტეტულობის მიხედვით - რამდენად არის მისი განხორციელება აქტუალური, რამდენ ხანს მოემსახურება მოსახლეობას და რამდენი ადამიანის ინტერესშია მისი განხორციელება.

**ვლადიმერ გულაშვილის** ინფორმაციით, უამრავ პრობლემათა შორის, გამგებობამ გამოკვეთა შემდეგი საკითხები: კინოთეატრის შენობის რეკონსტრუქციის დასრულება, კანალიზაციის სისტემის მოწესრიგება. ხარაგაულში, ნაპარსამაგრი სამუშაოები მუნიციპალიტეტის მასშტაბით და ხარაგაული-ბაზალეთი-სარგვეში-ღორეშა-ბუხისის გზის რეკონსტრუქცია. გზის ამ მონაკვეთის რეაბილიტაციაში საკრებულოს წევრმა **თამარ ბაგაძე** კვესრევისა და ამაშუკეთის გზების დამატება მოითხოვა.

როგორც საკრებულოს სხდომაზე აღინიშნა, სოფლებში მოსაგვარებელი პროექტები, შესაძლოა, სხვადასხვა ფონდებიდან დაფინანსდეს. წელსაც აუცილებლად განხორციელდება სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც მოსახლეობის საჭიროებებს ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით დააკმაყოფილებს.

## 6060 კაპანაძე





### სწრაფად და უხარისხოდ!

დას, ამის ნათელი მაგალითია სოლომონ მეფის ქუჩაზე (კოპიტნარის უბანი) მოსახლეობის ეზოების საყრდენი კედლებისათვის ჩატარებული სარემონტო სამუშაოები. რემონტი მიმდინარეობდა ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე და შედეგიც სახეზეა. რამდენიმე თვეში ჩამოიშალა კედლებიდან ნაღესი მასა. ჩვენ ვხედავდით, თუ როგორ უხარისხოდ მიმდინარეობდა ეს სამუშაოები და ხელისუფლებას ვაძლეოდით შენიშვნებს, რომ ხსნარს აკლია ცემენტი, მარტო ტალახით ნაღესი მალე ჩამოიშლება. მათი პასუხი ყოველთვის ერთგვაროვანი იყო: „ჩვენ უფროსები ასე გვეუბნებიან და მათ ვუჯერებთ.“ ვერ მივაკვლიეთ, ვინ იყო სამუშაოს მწარმოებელი ან ხელმძღვანელი. საინტერესოა, რატომ არ იყო გამგებობიდან გამოყოფილი სპეციალისტი, რომელიც თვალყურს მიაღებდა სამუშაოების შერულების ხარისხს და იქნებოდა პასუხისმგებელი.

შევეცადეთ ხმა მიგვეწვინა რაიონის ხელმძღვანელობისთვის, მაგრამ ვერ შევძელით მიხეზის გამო, რომ გამგეობას იცავდა შეიარაღებული დაცვა და შინაგარეშე შეუძლებელი იყო.

**კოპიტნარის უბნის მოსახლეობა**

### აქცია - ჩემი შესანიშნავი მშენებლობა - გიძელება

თებერვალში ტაძრის მშენებლობის შესაწირი გაიღეს: ადგილობრივი ბიუჯეტიდან - სუბსიდი - 5 000 ლარი; ს/ს „იმერის“, თანამშრომლები, - 15 ლარი; ა(ა)იპ „ხარაგაულკეთილმოწყობის“, თანამშრომლები - 20 ლარი; მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის თანამშრომლები - 10 ლარი; ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავების“, თანამშრომლები - 22 ლარი; თ. გიორგაძის სახელობის სპორტული სკოლის თანამშრომლები - 25 ლარი; ციციშვილი ციციანი - 5 ლარი; სამხარაძე მაცველა - 50 ლარი; 24 თებერვალს ტრასისპირა ობიექტებზე განთავსებული შემოწირულობათა ფუთების გახსნით შემოვიდა 458 ლარი. აქედან: სასაუზმე „უღელტეხილი“, - 27 ლარი; რესტორანი „ედემის ბაღი“, - 35 ლარი; სასაუზმე „გემო“, - 9 ლარი; სასაუზმე „ხევი“, - 27 ლარი; რესტორანი „ჯარგავლი“, - 20 ლარი; ხევის ბაი - 114 ლარი; რესტორანი „ოდა“, - 14 ლარი; სასაუზმე „ხევი“, - 84 ლარი; მარკეტ „ბორთი“, - 6 ლარი; სასაუზმე „მალხაზი“, - 98 ლარი; სასაუზმე „ბაჭყალი“, - 7 ლარი; სასაუზმე „ზღაპარი“, - 10 ლარი; სასაუზმე „უბისა“, - 3 ლარი; სასაუზმე „ფიციკრი“, - 4 ლარი; იმავე დღეს ზესტაფონში განთავსებული ფუთების გახსნით შემოვიდა 558 ლარი. მათ შორის: რესტორანი „იმერეთი“, - 60 ლარი; ა.გ.ს „გაღვი“, - 47 ლარი. საშურის ტერიტორიაზე განთავსებული ფუთების გახსნით შემოვიდა 535 ლარი. 28 თებერვალს დ. ხარაგაულის და მოლითის ზონაზე განთავსებული ფუთების გახსნით შემოვიდა: გამგებობის და საკრებულოს შესასვლელი - 75 ლარი; გამცემლობის აუთიიპი - 16 ლარი; მარკეტ „ავალიშვილი“, - 44 ლარი; ოჯახური სამზარეულო - 2 ლარი; კაპიტანის მალაზია - 12 ლარი; ხარაგის მალაზია - 4 ლარი; სალანდის მალაზია - 50 ლარი; მარელის რკინიგზის სადგური - 13 ლარი; მოლითის მალაზია - 20 ლარი; მოლითის რკინიგზის სადგური - 47 ლარი; ფუთებიდან შემოსავლები ორ თვეში შემოსული.

ტაძრის მშენებლობის დირექცია მდებარე უბნის ყველას, ვინც შესაწირი გაიღო და პრაქტიკულად გვეხმარება ტაძრის მშენებლობაში. სწორედ ასეთი ხალხის მხარდაჭერით და თანადგომით მიმდინარეობს ტაძრის მშენებლობა. შემოსავლების ანალიზი გვიჩვენებს, რომ თვით ხარაგაულთა აქტიუობა ძალზე დაბალია. ერთი და იგივე ხუთივე სამსახურის თანამშრომლები მონაწილეობენ ყოველთვიურ ერთლარიან აქციაში მაშინ, როცა მთელი რიგი სამსახურების თანამშრომლებს, არც თუ იხე მცირე ხელფასიანებს, ერთლარიან აქციაში საერთოდ არ მიუღიათ მონაწილეობა. ამაზე მეტყველებს დ. ხარაგაულში განთავსებული შემოწირულობათა ფუთებიდან მიღებული შემოსავლებიც. ამას ემატება ის ცუდი ფაქტი, რომ რკინიგზის სადგურზე განთავსებული ფუთი სამჯერ გაიძარცვა და მოიპარეს. ამ ფაქტით არც არაფერ დანიტერესებულა ჩვენს გარდა. ტაძარი მალე აშენდება. მშენებლობის პარალელურად მიმდინარეობს მუშაობა დოკუმენტური მასალების წიგნის გამოცემაზე.

ვისაც სურს, თავის შთამომავლობას დადებით კონტექსტში წარმოუდგეს, უნდა ეცადოს ტაძრის მშენებლობისადმი რაიმე კარგი გააკეთოს. ამის შანსი ყველას ეძლევა.

**ტაძრის მშენებლობის ფონდის დირექცია**

### მარლამ „პიპო“ კიპნაძის ბაზსენება

8 მარტი შენი დაბადების დღეა. 45 წლის შესრულდები. უშენოდ გავიდა ტკივილიანი და ცრემლიანი ხუთი წელი. ხუთი წელია, რაც შენ ზეციურ სასუფეველში დაიმკვიდრე ადგილი. რაც დრო გადის, ტკივილს ტკივილი ემატება. ეს ამოუთქმელი ტკივილია შენისთანა კარგი შეილის დაკარგვით გამოწვეული. ყოველი გათენებით ახალი მტანჯველი დღე იწყება შენი გამწარებული დედისთვის. ამას მხოლოდ შვილმკვდარი დედა გაიგებს. ჩემო შეილო, შენ სიცოცხლე გიყვარდა. მუდამ იმედინი თვალებით შეჭყურებდი მომავალს. შენ შემოგველოს დედა. შენი ცქრილა შეილი შენ სურათებს ეფერება და კოცნის. წელს სკოლაში მიდის. შენი მოსიყვარულე მუდამ კარგ შეილს გიზრდის, როგორც შენს სახელს ეკადრება.



კიპო, გილოცავ დაბადების დღეს და უფალს შეფთხოვ, შენი ლამაზი და სპეტაკი სული განისვენებდეს იქ, სადაც მართალინი განისვენებენ.

უზნი ოჯახი

### ნაზი ლუბაძის სსოვნა



ორმოცი ტკივილიანი დღე გავიდა, რაც ჩვენგან წაზევი, ჩვენო საყვარელი ნაზი. წაზევი და გულში დიდი მოუშუშებელი ტკივილი დაგვიტოვა. როგორ ვეხვეწებოდით უფალს და ვლოცულობდით შენი გადარჩენისთვის. ოჯახისა

და შეიღების უზომო თავდადებით ვერ გაგიხანგრძლივებ სიცოცხლეს, ვერ მოერიე უკურნებელ სენს. გაუნებელი სევა დაგვიტოვა.

უსაზღვრო იყო შენი სიყვარული სამსახურის, მეგობრების მიმართ. სამსახურს შენს მორე ოჯახად მიიჩნევი. ძალიან ენატრები შენს მეუღლეს და განიცდის უშენობას. ერთი დღეც არ მიუტოვებია შენი საფლავი, რომ არ ასულიყო და არ ეტირა. შენ ხომ კეთილი, თბილი, მოსიყვარულე და სამართლიანი ადამიანი იყავი ყველასთვის. შენს შეილ-თაშვილს, ორი წლის დათუქას, ისე შეაყვარე და ადამაქსოვე თავი, რომ შენს სურათს ეფერება და კოცნის. შენ ხომ ბავშვების საყვარელი ნაზი ბებო იყავი. ყოველთვის იქნები ჩვენს გულში. ყველას ძალიან გვენატრები და გვაკლიხარ. ვერ კიდევ გვიჭირს იმის დაჯერება, რომ ჩვენთან აღარ ხარ.

მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მიწა. ჩვენგან დაბნობულმა სახითლებმა გაგინათოს გზა სასუფევლისკენ.

**ოჯახი**



საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის თანამშრომლები თანაურგონობენ თანამშრომელს ამალია შარიქაძეს რძლის

**სოფო გოჭორიშვილის** გარდაცვალების გამო.

შვილები: მარინა, თამარი, მანანა ნიქაბაძეები, სიძეები ედიშერ მაჭავარიანი, ზურაბ მუშლაძე, შვილიშვილები: შოთა, დავით და ზურაბ მაჭავარიანები, თეა და თემური მუშლაძეები, თინათინ, თამაზ და გიორგი მეტრეველები ოჯახებით, შვილთაშვილები იუსუფიან, რომ გარდაიცვალა

**ელენე მაღრაძე-ნიქაბაძე.**

დაკრძალვა შაბათს, 9 მარტს, წყალაფორეთში.

მეუღლე უშანგი ვეფხვაძე, შვილი მაია, სიძე გონა ჭყვიძი, შვილიშვილები ხეივა და შოთა ჭყვიძიები იუსუფიან, რომ გარდაიცვალა

**ჰანაიკო (დარეჯანი) კალანდიაძე-ვეფხვაძის** დაკრძალვა 3 მარტს ლეღვანში.

რამაზ ორჯონიკიძე ოჯახით იუსუფეა, რომ გარდაიცვალა

**ნოდარი ორჯონიკიძე.**

დაკრძალვა 9 მარტს სოფელ ღორეშაში.

შპს „ადიო“ ხარაგაულის სამედიცინო-გინეკოლოგიური განყოფილების თანამშრომლებთანაურგონობენ ქეთევან გაბუნიას ბებუის

**ირა ციციშვილის** გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ვარძის საჯარო სკოლის პედკოლექტივი და ტექპერსონალი თანაურგონობენ ამავე სკოლის მასწავლებელს მაცველა გორგაძეს საყვარელი ბიძის

**ანზორ გორგაძის** გარდაცვალების გამო.

თენგიზი, გიზო, დავითი, გიორგი, ვალერი ზუმბაძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუსუფიან, რომ გარდაიცვალა

**ელენე მაღრაძე-ნიქაბაძე** და თანაურგონობენ განსვენებულის ოჯახს.

ლაშის საჯარო სკოლის პედკოლექტივი და ტექპერსონალი მწუხარებით იუსუფიან, რომ გარდაიცვალა ხარაგაულის №3 საჯარო სკოლის მასწავლებელი

**ელზა ბანცაძე** და თანაურგონობენ განსვენებულის ოჯახს.

მეთოდ ნიქაბაძე ოჯახით იუსუფეა, რომ გარდაიცვალა

**ელენე მაღრაძე-ნიქაბაძე** და თანაურგონობს შვილებს მარინა, თამარ და მანანა ნიქაბაძეებს.

ლაშის საჯარო სკოლის პედკოლექტივი და ტექპერსონალი იუსუფიან ყოფილი თანამშრომლის

**ანანა მოსიაშვილი-კიპალიშვილის** გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ნანა მირუაშვილი, ცეზარი, ლელა, მირიან, გიორგი ბუბულაშვილები ოჯახებით იუსუფიან, რომ გარდაიცვალა

**ელზა ბანცაძე** და თანაურგონობენ ოთარ ბანცაძის ოჯახს და მის ახლობლებს.

ხარაგაულის №2 საშუალო სკოლის 1959 წელს კურსდამთავრებულები და მათი მასწავლებლები ნუნუ თხელიძე და როზა კვირიკაშვილი ღრმა მწუხარებით იუსუფიან, რომ გარდაიცვალა თანაკლასელი

**ნაზი ბერაძე-ნიქაბაძე** და თანაურგონობენ განსვენებულის ოჯახს.

პაატა ლურსმანაშვილი, ზურიკო ჭაუჭიძე, ჯემალი მესხი, გიზო ზუმბაძე, ოთარი ასათიანი, ირაკლი ჭიბაშვილი, ტარიელ ბულაშვილი, ზინა ლონდაძე, ლანა ციბაძე ოჯახებით იუსუფიან, რომ გარდაიცვალა

**ლოლა სპანიძე** და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

პაატა სვანიძე, ალექო გელაშვილი, ვენერა კიკნაძე, გაა შარიქაძე, სულიკო კაპანაძე, გივი ჭყვიძი, თემური ალექსიძე, როზა ჭყვიძი, ზალიკო ლურსმანაშვილი ოჯახებით ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ, რომ გარდაიცვალა უახლოესი მეზობელი, უკეთილშობილესი ქალბატონი, ღვაწლმოსილი პედაგოგი

**ელზა ბანცაძე** და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

ენდი, იზა, ნინო ბუაჩიძეები, ნანა დამბაშიძე, თამუნა თხელიძე, ვერა ჩუბინიძე, ზოია სამხარაძე, ავთო თაბუკაშვილი, თამაზ შარიქაძე თანაურგონობენ აზა ბანცაძეს და თემურ ბოჭორიშვილს დისა და ცოლისდის

**ელზა ბანცაძის** გარდაცვალების გამო.

ახლო მეზობლები: ანზორ არევაძე, პაატა გოგოლაძე, ნელი შარიქაძე, ნანა ლურსმანაშვილი, ნიკო მაჭავარიანი, მალვინა ჩერქეზიშვილი, ლევან ბუაჩიძე, დავით კურტანიძე ოჯახებით სამძიმარს უცხადებენ გულთალახაძეს მამიდაშვილის ცოლის

**სოფო გოჭორიშვილი-შარიქაძის** გარდაცვალების გამო.

ბორის საჯარო სკოლა-პანსიონის თანამშრომლები: ლია ჩადუნელი, მედეა ჩხიკვაძე, დინარა პავლაძე, ეთერი კვირიკაშვილი, თამარი ბერაძე, ნათელა ჩიტორელიძე, გიგა ბერაძე, ანზორ ჭუბაბრია, ელიკო სხილაძე და ინეზა შავიძე თანაურგონობენ აზა ბანცაძეს საყვარელი დის

**ელზა ბანცაძის** გარდაცვალების გამო.

სიმონ შარიქაძე ოჯახით იუსუფეა და ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ღრმეული ქალბატონის, თავმდაბალი, კეთილი ადამიანის

**ნაზი ბერაძე-ნიქაბაძის** გარდაცვალების გამო და თანაურგონობს კაზო ნიქაძეს და მის ახლობლებს.

სადგურ მარელისის №1 საჯარო სკოლის მეთავე კლასის მასწავლებლები თანაურგონობას უცხადებენ მასწავლებელ მაია ვეფხვაძეს დედის

**ჰანაიკო კალანდიაძე-ვეფხვაძის** გარდაცვალების გამო.

გონერი ლომიძე ოჯახით თანაურგონობას უცხადებს ვენერა და შერმადინ ლომიძეებს დისა და დედის

**შუშუნა მინიშვილი-კვანტრიშვილის** გარდაცვალების გამო.

ხარაგაულის №2 საჯარო სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგიური კოლექტივი თანაურგონობენ მაია ვეფხვაძეს და გონა ჭყვიძის დედისა და სიღვრის

**ჰანაიკო კალანდიაძე-ვეფხვაძის** გარდაცვალების გამო.

ლაშის საშუალო სკოლის 1977 წელს კურსდამთავრებულები ღრმა მწუხარებით იუსუფიან თანაკლასელის, ძვირფასი მეგობრის

**ანანა კიპალიშვილის** უღროდ გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის საყვარელ შვილებს და შვილიშვილებს.

გივი გოგოლაძის ოჯახი ღრმა მწუხარებით იუსუფეა, რომ გარდაიცვალა

**ელენე მაღრაძე-ნიქაბაძე** და თანაურგონობს განსვენებულის ოჯახს.

ბორითის საჯარო სკოლის V კლასის მოსწავლეები, მშობლები-დაკლასის ხელმძღვანელი ღრმა მწუხარებით თანაურგონობენ ამავე კლასის მოსწავლეს სალომე რიკაძეს ბაბუის

**შაპო გორგაძის** გარდაცვალების გამო.

ფურნალისტა სკოლა „იმედი ხეაღის“ კურსდამთავრებულები და გაზუი, ჩემი ხარაგაულის“ რედაქცია თანაურგონობენ ხეივა ჭყვიძის ბებუის

**ჰანაიკო კალანდიაძე-ვეფხვაძის** გარდაცვალების გამო.

მეზობლები: გიორგი ბლუაშვილი, გიორგი ალექსიძე, გიზო ზუმბაძე, გაა ტალახაძე, ნოდარ და დავით მღებრიშვილები იუსუფიან, რომ გარდაიცვალა

**ელზა ბანცაძე** და თანაურგონობენ განსვენებულის ოჯახს.

ციზარი (ცირა) გორგაძე დიდი სინანულით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საყვარელი თანაკლასელის

**ანანა კიპალიშვილის** გარდაცვალების გამო და თანაურგონობს უცხადებს ბიძაშვილებს ლალი და ლარეო კიკალიშვილებს.

ლელა ბაბლიძე, ლიანა ვეფხვაძე, ლელა გულუნაძე, მაია ბოჭორიშვილი, ლილი შევლიძე, მარინა ფანცულაია, მზია ბუნჩიკაშვილი, მანანა მელაძე, მზია ბაბლიძე, ნარეგიზი ხედელოძე იუსუფიან, რომ გარდაიცვალა მათი შვილების პირველი მასწავლებელი, კეთილსინდისიერი ქალბატონი

**ნათელა მუსხიშვილი-ბაბაძე** და თანაურგონობენ განსვენებულის ოჯახს.

დაიკრძალა სოფ. საბეში

სოსო შარიქაძე, ოლეგი თხელიძე ოჯახებით თანაურგონობენ მარინა, თამარი და მანანა ნიქაბაძეებს დედის

**ელენე მაღრაძე-ნიქაბაძის** გარდაცვალების გამო.



ვეფი

ვეფი ორთახიან ბინას სოლომონ მეფის ქ. №56 (ა) კორპუსში მესამე სართულზე. დაინტერესებული პირები დაგვიკავშირდით ტელეფონით შემდეგ ნომერზე: 599 77 65 95.

ვერტევიჭალის საჯარო სკოლის დირექტორს ქალბატონ ლეონა აბაშიძეს, ქალბატონ კოლმეტიას და ტამარა პარსონასს ვულოცავ ქალთა საერთაშორისო დღეს - 8 მარტს. უსურვებ მათ წარმატებებს საზოგადოებრივ საქმიანობაში და პირად ცხოვრებაში.

თამაზ გომილაძე

მარელების საჯარო სკოლის მოსწავლეებს: დანი, ირაკლი, თინათინა, ნინო, სოსო, ჯაბა, ბიორბი ჩხიშიძეს, ლეონა კვიციანიძეს, სანა მაღრაძეს, ბეატა ლომთაძეს, ანა მაღრაძეს, ბეატა ტაბატაძეს, ნინო პურდაძეს, ნინა ბლუაშვილს, ოთარ მაღრაძეს და იმერი ფარაძეს ვულოცავ კარგად მიღწეულ წარმატებას. მათ 3 მარტს აიღეს წარმატებითი ქამრები. უსურვებ მათ წინსვლას და კიდევ ბევრ წარმატებას მომავალში.

თამაზ ჩხიშიძე

ველოცავთ თქვენს საყვარელ თინათინა კვიციანიძეს დაბადების დღეს. 7 მარტს 10 წლის იუბილეს იხეიმა. უსურვებთ თქვენს ჯანმრთელობას, კარგ სწავლას, უღვე სიხარულს და უფლის მფარველობას მშობლებთან ერთად. ღმერთი იყოს მათი მფარველი.

დიდი სიყვარულით ვენერა ბაგო, მარო ბაგო, გომილაძე და ლეონა აბაშიძე

ველოცავთ მამაკაც ტაბატაძეს შეილების ჯუჯარბინა და თამარას ბედნიერებას. უსურვებთ ახლადქორწინებულებს ღვთის წყალობას, უღვე სიხარულს და შეილთა სიმრავლეს.

სალანდილის საჯარო სკოლის ადამიანობის კოლმეტიას და ტამარა პარსონასს

სალანდილის საჯარო სკოლის ადამიანობის კოლმეტიას და ტამარა პარსონასს

ველოცავთ რუსულან კამბახიძეს შეილების ჯუჯარბინა და მარის ბედნიერებას. უსურვებთ ახლადქორწინებულებს შეილთა სიმრავლეს და ღვთის წყალობას.

ველოცავთ ირინა ტაბატაძეს ვაჟიშვილის დაბადებას. უსურვებთ პატარა დავითს უღრუბლო ზეცას, ღვთის წყალობას და უღვე სიხარულს თავის დედიკოსთან და მამიკოსთან ერთად.

სალანდილის საჯარო სკოლის კოლმეტიას

სალანდილის საჯარო სკოლის კოლმეტიას

დაბადების დღეს ვულოცავთ, ჩვენს ლამაზს დედიკოს ლეონა ლურსაბანაშვილს.

სიხარული და სიყვარული არ მოგკლებოდეს. გისურვებთ, რომ ღმერთი მარად გფარავდეს და გიცავდეს ყოველი განსაცდელისგან. ბედნიერებას გისურვებთ შორიდან. მთელი გულით გვიყვარხარ ყველას.

შენი ოჯახი

ჩვენს პირველ შვილიშვილს, მარიამ გრიგალაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს, სამი წლის იუბილეს. უსურვებთ ჯანმრთელობას, ლამაზ და წარმატებულ მომავალს და ღვთის წყალობას.

ბაბა მარგარიტა, ბაბა მარინა გუმბაჩიძე

გაზაფხულით ლამაზსა და მომხიბვლელს, ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებულ, შრომისმოყვარე, ყველა ჩვენთაგანისთვის სანდო მამაკაცის მოძველებს, ხიდრის საჯარო სკოლის დირექტორს ქალბატონ შინა პარსონასს ვულოცავთ ქალთა დღესასწაულს 8 მარტს.

ქალბატონო ეთერი, თქვენი გულის სითბო თანაბრად გვატობს თქვენს ოჯახსა და პედაგოგიურ კოლექტივს. სამაგალითო შვილი, შეუდარებელი მეუღლე და უნარიანი ხელმძღვანელი ბრძანდებით. გვუბნება, რომ თქვენნაირი წინამძღოლი გვყავს. ამიტომ დიდხანს უნდა იღვაწოთ ჩვენს საიმიდოო.

რამდენი ია, ენძელა, და გაზაფხულის სხვა მახარობელი ყვავილები გადააქვთ ჩვენს სამშობლოს მთა-ველს, იმდენი ბედნიერი დღე გაგოვებოდეთ.

პატივისცემით, ხიდრის საჯარო სკოლის პირველი პედაგოგი: ცინცა რი, ირინა, ნანა, გიორგი, ლანა

დაბადების დღეს ვულოცავთ ჩვენს პატარა ნათლულს მარიამ ლომთაძეს. უსურვებთ ჯანმრთელობას, ლამაზ და ბედნიერ მომავალს. ღვთისმშობელი მარიამი შეწუდეს მის ლამაზ ოჯახს.

ნათლიანი ირინა და სპეცია

ჩემი საყვარელი შვილი კოკა!

გაზაფხული და დიდი სიხარული 5 მარტს ერთად უბოძა უფალმა ჩვენს დიდ ოჯახს შენი დაბადებით. გილოცავ ამ უღამაზეს დღეს, ჩემო ვაჟკაცო. შენით ვიგრძენი ის უდიდესი განცდა, რასაც დეობა ჰქვია.

აქვე მინდა, დედისა და ქალთა დღეების მიხედვით ამ პედაგოგიურ კოლექტივს, რომელმაც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა შენს აღზრდა-განათლებაში. გფარავდეს უფლის მადლი.

დედა ლაშვირა ლურსაბანაშვილი

გაზაფხულის უმშვენიერეს დღესასწაულს - დედისა და ქალთა საერთაშორისო დღეს ვულოცავთ ჩვენს გულსახიერ, ახალგაზრდა პროფესორულ თანამშრომელ ქალბატონებს. უსურვებთ მათ სიხარულით სავსე დღეებს სიმრავლეს, წინსვლას და წარმატებას პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში, ღვთის წყალობას და უღვე ენერჯის.

ხარაგაულის სკოლაში დაფუძნებული სასაზოგადოებრივი საქმიანობის ადმინისტრაცია

ხარაგაულის ფილიალ ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიის ადამიანობის კოლმეტიას ვულოცავთ ამავე სკოლის კურსდამთავრებულს, მონა ლურსაბანაშვილს დაბადების დღეს და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლად არჩევას. უსურვებთ მას მრავალ წელს ჯანმრთელობას, ბედნიერ სიცოცხლეს თავის ოჯახთან ერთად. იმედს გამოთქვამთ, რომ ჩვენი ყოფილი საუკეთესო მოსწავლე გაამართლებს ხალხის ნდობას, დაიმსახურებს დიდ სიყვარულს რაიონის მცხოვრებთა შორის და პირნათლად შეასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

სოცარი და გუბი ჩამწვლობი

27 თებერვალს, ხარაგაულის კულტურის ცენტრში ცნობილი ქართველი მწერლის გოდერძი ჩოხელის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი ლიტერატურული სემინარი „ამ მიწის ბედი ჩემი ბედი“ გაიმართა. სემინარის ავტორი და შემსრულებელი ხარაგაულის ბიბლიოთეკისთან არსებული ერთი მსახიობის სახალხო ლიტერატურული თეატრი და მისი ხელმძღვანელი ირაკლი გუბი დაიწყო. სემინარს მუსიკალურად აფორმებდა დანი მარაბიშვილი.



მო იყო, გუბი ჩამწვლობი. დიდი მადლობა ქალბატონ ირაკლი გუბი.

... მშვენიერი ერთი საათის განმავლობაში სულგანაბრებული ეცნობოდა გოდერძი ჩოხელის ცხოვრების ცნობილ თუნაკებსა და ცნობილ ეპიზოდებს, მისი შემოქმედების თავისებურებებს და რწმუნებოდა მწერლის გენიალურობასა და უნიკალურობაში. ღონისძიება მხატვრულად გააფორმეს ანსამბლმა „ოდილი“ და კულტურის ცენტრთან არსებულმა ვაჟთა ფოლკლორულმა ანსამბლმა ზაქარია ბერაძის ხელმძღვანელობით. ლიტერატურული სემინარის შემდეგ შთაბეჭდილების გაზიარება რამდენიმე ხარაგაულს ვთხოვე.

ბაბა მარინა გომილაძე

მო იყო, გუბი ჩამწვლობი. დიდი მადლობა ქალბატონ ირაკლი გუბი. ირინა ჩხიშიძე: -ძალიან ამაღლევა და ემოციებით ამავეს დღევანდელმა საღამომ. ასეა ალბათ ახლა ყველა, ვინც კიდევ ერთხელ გაიაზრა გოდერძი ჩოხელის შემოქმედება. მისი თითოეული სიტყვა ნამდვილად არის გაზვიადებული თაობისთვის. დიდი მადლობა ირაკლი გუბი, რომ ასე ლამაზად წარმოადგინა ბუმბერაზი მწერლის შემოქმედება, რომელიც ვერ კიდევ შეუცნობელია და მომავლის მწერალია.

მერი გომილაძე

სოფო ალაბიძე

ჩვენ გვიყვარს ნიგნი



1 მარტს ხარაგაულის საბავშვო ბიბლიოთეკაში ჩატარდა სალიტერატურო ღონისძიება სახელწოდებით „ჩვენ გვიყვარს ნიგნი“. ღონისძიების ორგანიზატორმა ბაბა გომილაძემ აღნიშნა, რომ საყვარელ წიგნსა თუ პერსონაჟზე შთაბეჭდილებები გაზიარება სხვა მოსწავლეებსაც დაინტერესებს. ღონისძიებაზე ბავშვებმა ისაუბრეს მათთვის საყვარელი როგორც ქართველი, ისე უცხოელი მწერლების შესახებ - რა მოსწონთ და რა არა საყვარელ პერსონაჟებში. ღონისძიების მონაწილე ნინო დაბაძის ხასიათი მიიღოს და საუბრები წიგნსა და წიგნიერებაზე უფრო გაღრმავდეს. ნინოს აზრით, ეს გაზრდის მოსწავლეებში წიგნის კითხვის მოტივაციას.

ღონისძიებით კმაყოფილი დარჩა ლეონა გომილაძე. მისი თქმით, კარგი იქნება, თუ ეს პროექტი უფრო მასშტაბური გახდება. ღონისძიების სპონსორი იყო სახელმწიფო რამდენჯერმე აქვს წაკითხული ერთი და იგივე წიგნი, მაგრამ ყოველთვის ახალ ინფორმაციას იღებ. დანი მარაბიშვილი მესამედ კითხულობს კონსტანტინე გამსახურდიას „დავით აღმაშენებელს“. ბიორბი ჩხიშიძეს დაუსრულებლად შეუძლია ისაუბროს გურამ დარჩაშვილის „სამოსელი პირველის“ შესახებ. ღონისძიების დასასრულს გიორგი გოგოლაძემ საკუთარი შემოქმედებიდან რამდენიმე ლექსი წაკითხა.

დედა, გილოცავ!

მარტი გაზაფხულის პირველი თვეა. ბუნება იღვიძებს, სიცოცხლე ხალისდება. ეს დღე ლამაზი დღესასწაულებით იწყება. 3 მარტი დედის დღეა, 8 მარტი ყველა ქალს ეძღვნება. დედა, გილოცავ გაზაფხულის ამ ლამაზ დღეებს. დაესწარი მრავალს. ყოველთვის ლამაზი და ბედნიერი იყავი. მე კი ვეცდები, მუდამ გაგახარო. გპირდები, სულ ათიანებზე ვისწავლი, რადგან შენ ყველაზე მეტად გე გახარებს. ჩემო დედიკო, ძალიან მიყვარხარ.

გაზაფხულის ამ ლამაზ დღესასწაულს ვულოცავ ჩემს ქალ პედაგოგებს. ისინი ჩვენზე გამომდებით ზრუნავენ. მრავალი თაობა აღზარდნენ. ბედნიერნი, თეთრი თმით შებურბურდნენ იმ ლამაზ საქმეს, რასაც მასწავლებლობა ჰქვია.

დიდი სიყვარულითა და პატივისცემით, მარიამ კოჩიაძე მარელების საჯარო სკოლის მე-5 კლ.

მადლობა გულისხმიერ ქიმს

გვინდა თქვენი გაზვიადებული უღრმესი მადლობა ვუთხრათ ჩვენი ოჯახის ქიმს, მადლი დონის პროფესიონალს, გულისხმიერ და კეთილშობილ პიროვნებას ბესო ფიცხელაშვილს. მისგან დასმული დიაგნოზი პროფესორმა დადასტურა. ბესო ქიმის დამსახურებაა, რომ დღეს ჩვენ ცოცხლები ვართ. ღმერთმა ადღეკრძელოს მისი ოჯახი.

ნუნუ და ვაჟა შარიაძე

სოფ. ლეღვანი

მადლობა კეთილ ალაბიანებს

მინდა ჩემს მიმართ გამოჩენილი სიკეთისა და თანადგომისათვის დიდი მადლობა ვუთხრა ბონდო კვიციანიძეს, ზოია ბუხნიკაშვილს, ნაილი ავალიშვილს, ხათუნა ვეფხვაძეს, მარინა მარაბიშვილს, ნადია თავაზარაშვილს, მზია მარაბიშვილს. დიდხანს იცოცხლონ ასეთმა კეთილმა პიროვნებებმა. დაე, ღმერთი იყოს მათი მფარველი.

ნათელა ცხომლაძე

„ჩემი ხარაგაულის“ რედაქციას

ჩემო ლაურა, ნინო, სოფო და მთელი კოლექტივი! მოგესალმებით დიდი პატივისცემით, გილოცავთ გაზაფხულის დღესასწაულს. გისურვებთ ახალ ქვეყანაში შემართებულ ცხოვრებას. სიკეთეს, ახლანდელ ოცნებებს, განხორციელებულ სურვილებს, მაგრამ არა 100%-ით. გისურვებთ ყოველდღიურ ხალას მიზნებს და სწრაფვას ამ მიზნების შესრულებისკენ. ჩემგან არ გესწავლებათ, რომ ადამიანი კმაყოფილი არ უნდა იყოს, თორემ ცხოვრებას აზრი ეკარგება. ერთი პოეტის თქმის არ იყოს: „მე მიწზე ვარ, ჩემს მაგიდაზე ნატვრის ლამაზი ენით, გემუდარები, ყველაფერს ნუ შემისრულებ, ღმერთო.“ მე მინდა თქვენი გაზვიადებული, გულწრფელი უფინებოდეს ადამიანთა გულს. ყველა გამოწვევა თქვენი გამარჯვებით დაგვირგვინებულიყოს. თქვენ ჩემ მიმართ დიდი პატივითა და პატივით გამოიჩინეთ. ვხარობ თქვენი წარმატებებით.

პატივისცემით, შინა ბუჩიძე

ამინდი

Table with weather forecasts for March 8th, 9th, 10th, 11th, 12th, and 13th, including temperature ranges and weather conditions.

Footer containing contact information for 'ჩემი ხარაგაული' magazine, including phone numbers, email addresses, and social media links.